ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 23 0001608645

27/11/2023

სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას (ს/კ: 226526293) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
2. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები;
3. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით;
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დანართი:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა